გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 294 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 294

წლიურის ფასის ნაწილ. ნაწილად შეკოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1-ს— 5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს— 3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნ: მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კავკასიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტლლის და ამხ.-ის განსცალებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 11 (აბონემენტის გარეშე).

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, 1904 წ.

◆ **ბენეფისი ნინო პ. ჩხეიძისა** ◆

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

თავ. ა. ი. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

ლალაგი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ., თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. ეფაშაძის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, გბუნია-ცაგარელი, ჩხეიძე, კარგარეთელი, ნებიერიძე ტ. სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, გუნია, სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, ქორიძე, იორდანაშვილი, საფაროვი ტ. სხვ.

სეზონის ბილეთი გაუქმებულია. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

მზადდება წარმოსადგენად: «ეროვნება», «იულიოს კეისარი», «რეი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექტორი. მორგი რეჟისორი კ. მესხი.

სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა სამშ. თეატრის არტისტის **ლ. დ. დონსკოისა.**

◆ **საღამოსწაულო რეპერტუარი** ◆

1904 წლის 26 დეკემბრიდგან 1905 წლის პირველ იანვრამდე

კვირას, 26 დეკემბერს, ორი წარმოდგენაა: დილით იაფ ფასიანი. წარმოდგენილი იქმნება დილით: **ფაუსტი**, ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ჭუნოსი; საღამოთი ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„კიკოვაია დამა“**, ოპერა 3 მოქ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 27 დეკემბერს, დილით იაფ.-ფას. წარმ., წარმ. იქმნ.—**„ევგენი ონეგინი“**, ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა საღამოთი—**„ხანდზარიჩკა“**. მოქმ. მუსიკა რიმსკი კორსაკოვისა.

სამშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„ნერონი“**, 4 მოქმ., მუსიკა რუბენშტეინისა.

ოთხშაბათს, 29 დეკემბ.—ქართულ დრამ. დასის წარაგოგენაა.

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„მანონი“**, ოპ. 4 მოქმ. მმასენესი.

პარასკევს, 31 დეკემბერს—1) **„ხევლილი დალაქი“**, ოპ. 3 მოქმ., მუსიკა როსსინისა, 2) **„ახალი წლის შეხვედრა და მასკარადი“**.

(ვისაც ლოჟებისა, პარტერისა, ამფითეატრისა და ბალკონის მე-2 და მე-3 იარუსის ბილეთები ექმნებათ აღებული, შეუძლიანთ მასკარადზედაც დარჩნენ).

შაბათს, 1-ლ იანვარს 1905 წ., მე-11 **„გალა“** წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება **„ბოკაჩჩიო“**, კომიკური ოპერა 3 მოქმ., მუსიკა ზუპპესი

დილის წარმოდგ. დაიწყება $11\frac{1}{2}$ საათ. ◆ საღამოს წარმოდგ. დაიწყება 8 საათ.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება.

გამგე ა. კეკლერი.

წარმოდგენა № 5.

ვეტცელის თეატრი

(ბიხეილის პროსპექტი)

კვირას, 26 დეკემბერს,

◆ **ბენეფისი** ◆

ი. ივანიძისა და

ვ. შალიკაშვილისა

ქართულის დრამატიულის დასის მიერ

წარმოდგენილი იქმნება

და-ძმა

ისტ. დრამა 5 მოქმედ., ვალ. გუნიასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, და სხვ.; ბ-ნნი გუნია, სვიმონიდე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, სარკვლაძე, იორდანაშვილი, ყივიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მ. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზედ ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრატორი ამხანაგობის.

მორგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

კვირას, მომავალის წლის იანვრის 9, ტფილისის სასოფლო საეკლესიო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზედ, დანიშნული პირველი საგანგებო კრება ტფილისის ქართველ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელთ წევრთა შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა.

(5—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ეჟიმის ნავთსაარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) აკადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეშეს გარდა.

დილობით:

ჟ. მ. ჩიტოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანები. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ბირუტგიულ ვადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

ა. ი. ბეელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანები. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ჭიჩანინა.** $1^1/_2$—2 საათ. ქალისა და საბუნო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ბ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. ალვაანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სანლში და მსურველთ მასსაცს», აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო ვიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ბეელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ომის ამბები

დეკეშები და ფურცლები.

—

პორტ არტური. გენერალ ნოგის შტაბი ამბობს, პორტ არტურისთანა მაგარი და მიუვალი ციხე მთელს ქვეყანაზედ ჯერ არ ყოფილა. პორტ არტური უდრის ექვს სევასტოპოლს, რომელიც მიუვალ მთის კალთებზედაა აშენებული (ნ. ვ.).

—

«ნოვ. ვრ.»-ში წერია იაპონელთა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონელებმა კიკვანშანისა და ერლიუშანის ფორტები აიღეს; მაგრამ ზემოხსენებული გაზეთი ამის შესახებ წერს: ცრუ და სულელურ ცნობები გავრცელება ისევ დაიწყეს. ამბობენ, ვითომ პორტ არტურის მეციხოვნე ჯარმა იაპონელებს დამორჩილება მგამოუცხადაო. ეს ცნობა იაპონიიდგანაა და იაპონოფილურ გაზეთებიდგან მოდის და, რასაკვირველია, არ დაიჯერება. ამ ხმეის იმტომ ავრცელებენ, რომ იაპონის საზოგადოებრივი აზრი დაამშვიდონ. ეხლა საზოგადოებას სჯერა სიმართლე ერთ იაპონელ ოფიცრის სიტყვისა, რომელმაც სთქვა, რომ პორტ არტურზედ იაპონია კბილს მოიტეხსო. აი სწორედ ამიტომ ამბობენ, ვითომ რუსის ბენერლები დაიხოცნენ, გემები დაიღუნენ, ფორტები აიღეს და მეციხოვნე ჯარიც დამორჩილებას აპირობსო. მაგრამ,—ამბობს გაზეთი,—ამ ხმას არც იაპონიაში დაიჯერებენ. „ნოვოე ვრემია“-ს მოლოდინი და იმედი არ გამართლდა. იაპონელებმა ფორტებიც აიღეს, ფლოტიც დაღუპეს და ციხეც ჩაიბარეს.

—

დღევანდელ დეპეშებიდგან სჩანს, რომ პორტ არტურის კაპიტულიაცია შემდეგის პირობებით მოხდა: პორტ არტურის მთელი მეციხოვნე ჯარი, მეზღვაურები და ის თავისუფალი მეომარნი, რომელნიც მეციხოვნე ჯარში ირიცხებოდნენ, იაპონელებს ემორჩილებიან და ტყვედ უნდა გაჰყვნენ; ყველა ფორტი, ბატარეია, გემი, ზარბაზნები, სამხედრო ნარაღი, ცხენები, სურსათი, სახაზინო შენობები და ყველაფერი, რაც კი რუსეთის მთავრობას ეკუთვნის, იაპონიის ჯარს უნდა ჩაბარდეს. ყველა ფორტი, სადაც კი რუსეთის ჯარი სდგას, 21 დეკემბერს 12 საათზედ იაპონელებს უნდა ჩაბარდეს მეციხოვნე ჯარი კი იქიდგან უნდა გამოვიდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ ზემოაღნიშნულს საგნებს,—ზარბაზნებსა, გემებსა და სხ. ხელი ახლეს, გაიფუჭეს, ან რამე დაუშავეს, იაპონიის ჯარი ისე მოიქცევა, როგორც სურს; მეციხოვნე ჯარისა და მეზღვაურების უფროსებმა იაპონელებს უნდა გადასცენ ციხის ყველა გეგმა და ამასთან აჩვენონ, სად არის ჩაწყობილი ნაღმები და სხ. რუსის ოფიცრებს შინ დაბრუნების ნება მიეცემა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ რუსის ოფიცრებმა პატიოსანსა სიტყვით ძალით ეხლანდელ ომში არავითარი მონაწილეობა აღარ უნდა მიიღონ.

გენერალ სტესელის დეპეშაში ნათქვამია: „დიდო ხელმწიფეო! გაგვასამართლე, მაგრამ მოწყალებით კი განგვიკითხე“. რუსეთის კანონის ძალით ციხის უფროსი, რომელმაც ციხე დიდის გმირობითა და მამაკაცობით დაიცვა, სულ ერთია, რაკი ციხე მტერს დაუთმო და დანებდა, სამართალში უნდა იქმნას მიცემული. მაშასადამე, გენერალი სტესელიც სამართალში იქნება მიცემული. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, შეეძლო სტესელს კიდევ გამაგრებულიყო და ციხე იაპონელებისათვის არ დაეთმო, თუ საქმის მდგომარეობამ იქამდე მიიყვანა, რომ ციხის დაცვა შეუძლებელი-ღა იყო და დამცველნიც ძალაუნებურად იაპონელთ უნდა დანებებოდნენ. სასამართლო თავის განაჩენსაც ამისდა მიხედვით დაადგენს.

—

კიკვანშანის ფორტის აღება. გენერალ ნოგის ჯარში მყოფი „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ამნაირად ასწერს კიკვანშანის ფორტის აღებას: 13 ნოემბრის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა კიკვანშანის ფორტის ქვეშ გვირაბის თხრა დაიწყეს. თვავარ გვირაბს ოთხი შტო ჰქონდა. გვირაბი ფორტის ჩრდილოეთ ბრესტვერისაკენ მიდიოდა. 5 დეკემბერს დილით გვირაბი მზად იყო; ნაღმები ჩაიწყეს და იაპონელებიც ბრესტვერის ასაფეთქებლადა და ასაღებად მოემზადნენ. მარცხენა ფრთის დივიზიის გენერალმა თავის ჯარს ჰკითხა, ვისაც ან ფორტის აღება, ან სიკვდილი გინდათ, გამოდითო. იმ წუთშივე ორი ბატალიონი გამოვიდა; ერთი სამარქაფო ჯარიდგან, მეორე მარცხენა დივიზიიდგან. მაშინვე ყველას შავი ტანისამოსი გაბადეს და მიხაკის ფერი ტანისამოსი ჩააცვეს. ყველა ჯარის კაცს თოფის გარდა თითო ხელი სასროლი ყუმბარა ჰქონდა. პატრონტაშზედ ყუმბარის მოსაკიდებლად ანთებული პატრუქი ეკიდა. იმ ჯარის კაცთ, რომელნიც კანონირის თხრილებში იდგნენ მარცხენა ხელზედ თეთრი ნიშანი ჰქონდათ გაკეთებული, ვინც პარალელურ თხრილებში—წითელი. პირველად საიერიშოდ კანონირებში მდგომი ბატალიონი უნდა წასულიყო, იმას უნდა მეორე ბატალიონი მიჰყოლოდა. 2 საათზედ პირველი ნაღმი აფეთქდა, მაგრამ რადგან ძალიან ღრმად იყო ჩადებული, ამიტომ ბრუსტვერი დიდათ ვერ დაეზიანა. პირველ ნაღმს მოჰყვა მეორე, მერე ოთხი ერთად. მიწისა, ქვებისა და ბრუსტვერის ნანგრევების უშველებელი სვეტი 30 საჟენის სიმაღლეზედ აფეთქდა. ცოტა ხნის შემდეგ ირგვლივ ნახევარ ვერსის მანძილზედ მთელი ადგილი მიწითა და ბრუსტვერის ნანგრევებით მოიფინა. აფეთქების შემდეგ თავარ თხრილში ორი უშველებელი კარები გაჩნდა. იაპონელები ფორტში შეცვივდნენ, მაგრამ რუსებიც მაგრად დაუხვდნენ. მეორე ბატალიონი პირველს დროზედ ვერ მიეშველა, რადგან გასავლელი გზა ნანგრევებით აივსო. ნანგრევები საჩქაროდ გასწმინდეს, ჯარს გზა მისცეს და ის იც ტომრებსა და ათასგვარ საფრებს უკან გამაგრებულ რუსებს ეცა. მაგრამ ბატალიონის უფროსმა დროზედ მოიფიქრა, რომ ამ გვარად ფორტის აღება ძალიან ძნელი იყო და ამიტომ ბრძანება გასცა, ყველანი აფეთქებისაგან გაკეთებულ ორმოებსა და კვლებში ჩაწექით და რუსებს ნელ-ნელა მიუახლოვდითო. იაპონელები ერთ ორმოდგან მეორე თხრილამდე ფრთხილად და თითო თითოდ გადადიოდნენ და რუსებს თან და თან უახლოვდებოდნენ. რუსებიც ბევრ ეცადნენ იაპონელები ახლო არ მიეშვათ, მაგრამ ვერას გახდნენ. საღამოს 8 საათზედ იაპონელების მიწით გატენილ ტომრების უკან ჩასაფრებულ რუსებს დაერივნენ და შეუღამისას ფორტზედ სამუდამოთ დამკვიდრნენ (ნ. ვ.).

—

კაპიტანის კლადოს წერილი. ადმირალი ბირილოვი სწერდა: „ნუ გგონიათ, ვითომ იაპონელები მართლა ისე ძლიერნი იყვნენ, როგორც ამბობენ. ეს თავის მოტყუება და უხასიათოთა ლანდია. იაპონის ფლოტი დაზიანდა და ძალიანაც დაზიანდა. როჟესტვენსკის ესკადრა ძალით ბრძოლაში უდრის და გაშლილ ბრძოლაში უუქვეელად დამარცხებს“. ამის შესახებ კაპიტანი კლადო სწერს: ადმირალმა გაბედა და ზემოხსენებული სტრიქონები დასწერა, თუმცა კი ითითონაც ძალიან კარგად იცოდა, რომ რუსეთის დამარცხებას ძალიან შეუწყეს ხელი იმ ვეებატონებმა, რომელნიც ყვიროდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის ფლოტი რიგზედ არის მოწყობილი და არაფერიც არ აკლიაო, რომ მტერი დასუსტდა და უმთავრესი ძალა ნამდვილ ძალაში კი არ არის, არამედ გამბედაობასა და სამშობლოსადმი სიყვარულშიაო. ადმირალს ჭკონია, რომ რუსეთის საზოგადოება იმდენად განუვითარებელი და უგულუბრია, რომ იგი ნუგეშსა საჭიროებს და ამ საზოგადოებას ისე ეკითხენ, როგორც ძუძუმწოვარა ბავშვსა. ათასჯერ ითქვამს და ეხლაც ვამბობ, რომ ტოგოს ესკადრა როჟესტვენსკის ესკადრაზედ ძლიერია, და ის იმედი კი, ვითომ იაპონიის ფლოტი დაზიანდა და დასუსტდა, არაფერზედაც არ არის დამყარებული და მხოლოდ ოცნებაა. რაც შეეხება სამამაცესა და სამშობლოსადმი სიყვარულს, თამამად ვამტკიცებ, რომ იაპონელები ამაში სულაც არ დაგვავარდებიან. იაპონელებმა ეს მგონი საკმარისად და ნათლად დაგვიმტკიცეს. იაპონია ისეთი მოწონაალმდგომა, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. ბევრი ყვირის, იაპონიას ქუდებით ავვსებთო (шапками закидаемъ), მაგრამ ამ სიტყვების სისულელის დამტკიცება მრცხვენია და მეტადაც მიმაჩნია. გარდა ამისა უნდა აღვიაროთ, რომ იაპონიის ფლოტი როჟესტვენსკის ფლოტზედ უფრო გამოცდილია. აბა ერთი მითხარით, განა საკვირველი არ იქნება, რომ ის ესკადრა, რომელსაც ბრძოლის სუნიც კი არ უგრძია, იმ ესკადრაზედ უფრო გამოცდილი აღმოჩნდეს, რომელიც ერთის წლის განმავლობაში ბრძოლაში გაიწრთნინა და ომის ქარ-ცეცხლში ცხოვრობდა. მე ვწერდი, რომ ადმირალს როჟესტვენსკის პორტ არტურის ესკადრის იმედი არ უნდა ჰქონდეს მეთქი. ჩემი აზრი უფრო ადრე გამართლდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. გონიერება მოითხოვს, რომ როჟესტვენსკისა და საზოგადოებას არც ვლადივოსტოკის კრეისერებისა და არც ვითომდა სხვა რომელიღაც სახელმწიფოსაგან ნაყიდ გემების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ რა პირით უნდა ვთქვათ, რა როჟესტვენსკის ესკადრას ტოგოს ფლოტის დამარცხება შეუძლიანო? ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ როჟესტვენსკის გამარჯვება უსურვოთ, ამ

ადმირალის ნიჭიცა გვწამს, მაგრამ ნება არა გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ როჟესტვენსკი უეჭველად გაიმარჯვებს (ნ. ვ.).

—

წვრილი ამბები. როტერდამიდგან ბერლინში ატყობინებენ, რომ კუნძულ იავას ნაპირებთან იაპონელთა ორი კრეისერი გამოჩნდაო. კუნძულ ბორნეოსთან ნაღმოსნებმა გაიარეს.

—

ტოკიოში დარწმუნებულნი არიან, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა საიგონამდესაც კი არ მოვიო. თუ როჟესტვენსკიმ მაინცა და მაინც არ დაიშალა და იაპონიისაკენ წავიდა, ადმირალი ტოგო დაუყოვნებლივ წავა მის დასახვედრად და შეებრძოლება (ნ.).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

ტფილ. ქალ. მოურავმა წარუდგინა ტფილ. ქალაქის გუბერნატორს ქალაქის საბჭოს დადგენილება—შეუერთდეთ მოსკოვის ქალაქის საბჭოს და ვიშუამდგომლოთო, რომ მოსკოვში მოწყვეულ იქმნას რუსეთის ყველა ქალაქების მოურავთა კრებაო.

*** **«ᲒᲝᲠᲒᲘᲡᲐ» ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲐ** ბ-მა იასე რაკელმა (მუხუზლამ) კარგა ხანია ჩაბარა ტფილ. ქალაქის გამგეობას შუა აზიიდგან მოტანილის ოთხკუთხიან ქვის ნიმუშები, რომლითაც ქუჩები უნდა მოიკირწყლოს. ქუჩების მოპირწყვლელმა კომისიამ ეს ნიმუშები პეტერბურგის საგზაო ინჟენერთა ინსტიტუტის სამექანიკო ლაბორატორიაში გაგზავნა გამოსაცდელად. ბ-ნი მუხუზლა ჰპირდება ქალაქს, ერთის წლის განმავლობაში 1.500,000 ასეთის ქვის ჩაგაბარებთო.

*** **მცხეთის ტაძრის რესტავრაციისთვის** მუშობას ამ ეამად ხელ-ახლად შეუდგნენ, ტაძრის სანიმუშო სახურავის დამთავრება უკვე დაამთავრეს ამ დღეებში.

*** **მკვლელობა.** ანდრეევის ქუჩაზედ 21 დეკემბერს მოკლულ იქმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარ სახელმწყობების სახარატო ამქრის ბრიგადირი ვაშაიძე. მკვლელი დაიმალა.

*** **ბაქოს გუბერნატორის განცხადება:** როგორც «ᲕᲐᲡᲨᲘ» იუწყება, ბაქოს ქუჩებში გაკრული ყოფილა გუბერნატორის თანამშდგომობის ალმსრულებელის შემდეგი განცხადება: ადგილობრივ ადმინისტრაციას საკეთილდ მიჰნია მოაგონოს ხალხს მთავარ-მართებლის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აეკრძალულია ყოველგვარი ყრილობა ქუჩებსა და მოედნებზედ. დამნაშავენი დაისჯებიან სამ თვემდე დაპატიმრებით, ან 500 მანეთამდე ჯარიმით, დასაჯვანი ისინიც, რომელნიც ცნობის მოყვარეობით მივდენ ყრილობებზე.

*** **ბაქოს კუბინოებში** ᲕᲐᲡᲨᲘᲡ, რომ 20 დეკემბრიდგან ბაქოში ნავთის დენა იწყო ტრამვაის ვაგონებმა მოძრაობა.

*** **ᲑᲐᲥᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲤᲔᲘᲡ ᲙᲐᲤᲔ** 24 დეკემბერს ადგილობრივ ბაზრებზედ არაფერი გაყიდულა და ბრაზობა ი მიძრაობაც კი არა ყოფილა საქონლის ბაზრებზედ გამოტანისა თურმე ეშინოდათ. («ᲕᲐᲡᲨᲘ»).

*** **ᲡᲐᲢᲮᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ.** მთავარ მართებლის თამამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ად. ი. დ. მალამამ ნება ართო ბაკის ქალაქის თვითმმართველობას ისესხოს 250,000 მან. ქალაქის საშუალებათა გასაძღერებლად, იმ პირობით კი, რომ ორის წლის განმავლობაში გაანადგოს ეს სესხი მოსალოდნელ საქალაქო დარჩენილ გარდასახადთა შეკრებილ ფულით.

*** **ᲡᲐᲡᲬᲐᲒᲐᲓᲝ ᲑᲘᲠᲯᲐ ᲡᲐᲒᲝᲜᲓᲝ ᲒᲐᲜᲒᲝᲒᲘᲚᲔᲑᲘᲗ.** ტფ. გაკართა მამასახლისის ბ-ნ ი. ა. შადინოვის თაოსნობით, განზრახულია ტფილისში დაარსდეს საზოგადო ბირჯა საფონდო განკოფილებით. ახლო მომავალში იშუამდგომლებენ ამ საქმის თაობაზედ სავაჭრო დეპარტამენტის წინაშე.

*** **ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ.** 2 იანვარს მოჰხდება ტრამვაი ტფ. ქალაქის გამგეობის მიერ ტფ. მეორე საქალაქო სესხის თანდებაკეთების გასაბათილებლად, სულ 24,600 მან.

*** **ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲐᲨᲘᲡ** მოძრაობა სალდათის ბაზარსა და ერევნის მოედანზედ უკვე სცადეს. ამ დღეებში დაიწყება წესიერი მიმოსვლა ელექტრონის ტრამვაისა ამ ლიანდაგზედ.

*** **ᲨᲝᲑᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲐᲓ** ტფ. მთ. ქალაქეთა ლარის ბავშვთათვის ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასდო 100 მან., თანხამად მასწავლებელ და ადმზრდელ ქალთა შუამდგომლობისა.

*** **ᲐᲮᲐᲚᲐ ᲡᲐᲛᲓᲖᲕᲐᲠᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ,** გზათა სამინისტროს განკარგილებით, 1905 წ. ᲕᲘᲠᲯᲘᲗ ინგრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შემოიღებენ ახალ სამგზავრო ბილეთებს. ეს ბილეთები ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲐ დამზადებული.

*** **ᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ «ᲮᲯᲮᲚᲘᲡᲐᲡ».** მოგვივიდა «ᲮᲯᲮᲚᲘᲡᲐᲡ» დეკემბრის ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1) ფერადი სურათი—მეგობრები, 2) «ᲮᲯᲮᲚᲘᲡᲐ» ლექსი თ. რაზიკაშვილისა, 3) ჩიტების შობის ხე (საშობაო მოთხრობა) ა6. წერეთლისა, 4) იაპონური ფიალები (ფრანგულიდგან) კ.ლდანისი, 6) ნაძვის ჩიკილი (თარგმანი) კ6. ა6. ამილახვრისა, 6) იაკობის გამეჩრაზობა (ფრანგულიდგან) ნ. ა—ლისა, 7) შობის ხე ტყეში (თარგმანი) ს. ციცაშვილისა, 8) სახუმრო კიხთვები და რებუსი, 9) მილოცვა. ლექსი შ. მდვიმელისა, 10) ორი სურათი ეკ. გაბაშვილისა, 11) თეიმურაზ მეფის კურთხევა—ალ. სარაჯიშვილისა, 12) შაჟია გმირი (დაუსრულებელი მოთხრობა)—ალ. კაზბეგისა, 13) ბაგმალინინი (ოვიდიუსი) ალ. ᲙᲣᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ, 14) გასართობი, სახუმარო ამოცანა, ანრიმეტიკული ამოცანა, ახსნა და სხვა, 15) 1905 წლის «ᲮᲯᲮᲚᲘᲡ» მთელი წლის სარჩევი და 16) განცხადებანი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ᲞᲐᲢᲕᲘᲡᲪᲔᲛᲣᲚᲘ Ძ-ᲜᲐ ᲐᲜ. თუმანიშვილს-წერეთლისს ეს ნომერიც ჩვეულებრივ შინაარსისად შეუდგენია. განახლებულ „ᲮᲯᲮᲚᲘᲡᲘ“ ნომრები განსაკუთრებით მეტად კარგს შთაბეჭდილებას იზდენს მკითველზედ. სწორედ რომ ამ განახლებულ «ᲮᲯᲮᲚᲘᲡ» უმეტესაულებოდ შეჰფერის ამ უკანასკნელ (დეკემბრის) ნომერშიე მოთავსებული თ. რაზიკაშვილის საუცხოო ლექსის სიტყვები:

„ისევ და ისევ დანამა,
ისევ გაიდგა ფესვები.
და გაიხარა ანამა,
ისევ გალესა გოდორი
ხორბლისთვის ქვრივმა ანამა!“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

—

სიღნაღის მაზრა. ამას წინად ქართულს გაზეთებში წაიკითხე სოფლების «ᲕᲝᲚᲝᲡᲢᲘ»-ად გადაკეთება, ე. ი. რამდენსამე სოფლის ერთად შეერთება და ერთის მამასახლისის დანიშნა ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲜᲐ, ასე რომ, ერთი სამამასახლისო არ უნდა იყოს 500 კომლზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 1500 კომლსაო. ეს განკარგულება კიდეც მოიყვანეს სისრულეში სიღნაღის მაზრის უკანა მხარში, სადაც, ცოტა არ იყოს, ზოგიერთი სოფელი უხერხულადაა შეერთებული. ზეციდან რომ დაჰხედოთ, ან ქვეყიდან შეჰხედოთ სოფლებს: ᲯᲘᲛᲘᲗᲘ, კაჭრეთს, ნანინანს და აგრამ-დარჩიეთს ერაკი გაარჩევთ, აქ რამდენიმე სოფელია, თუ ერთიო, ისეა ერთმანეთზე ზედ მიკული, ასე რომ, თითოს პატარა ხეი ჰყოფს შუაზე. კაჭრეთს საზღვრავს დარბა-გადრეული ხევი, და აგრამ დარჩიეთს წიფლის წყარო. ზემოხსენებულ სოფლებს შუა ძლიერ-ძლიერ ომობი იქნება $1\frac{1}{2}$ ანუ 2 ვერსის მანძილიო. მაგრამ აი როგორ შეაერთეს ეს სოფლები: ზიარ-კაჭრეთ-ნანინანი 250 კომლი. ფხოველი, 140 კომ. აგრამ დარჩიეთ 55 კომ. ქოდალო და არაშენდა 185 კომ.—სულ ერთად 306 კომლია. ამ უსწორო-მასწოროდ შეერთებულ სოფლებს ერთი სომეხი მედღუნე დაუნიშნეს 300 მან. გადაეწყვეტაეს ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲜᲐ, და ერთიც თანაშემწე—ქართველი. (ამბობენ, ვითომც ქართველი ელეთია მამასახლისად და წყალობა კი თანაშემწეაო, მაგრამ, აბა, ახლა წუალობასა ჰკითხეთო?).

ს.ს. კაკაბეთი 345 კ ᲥᲐᲜᲓᲐᲠᲘᲐ 302 კ. და ჩაილური 75 კ. სულ 722 კომლია. ამ სამ სოფელს დაუნიშნეს ერთი მამასახლისი, ს. კაკაბეთში მცხოვრებელი მეკედლეშეილი (ეუსწავლელი კაცია). წელიწადში 400 მან. ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲜ. ს.ს. მელაანი 150 კ და ჩალაუბანი 150 კ. ორსავე სოფელში 306 კომლია; აქ დანიშნეს ერთი მამასახლისი 300 მან. ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲜ.

სოფ ᲯᲘᲛᲘᲗᲘ შეუერთეს ს. შიბლიანი. ᲯᲘᲛᲘᲗᲘ 423 კ. და შიბლიანი 100 კომლი. ამ 523 კომლს *) დაუნიშნეს მამასახლისად სოფ. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲜᲘᲗᲘ მცხოვრებელი გელეხ-კაცი შაშა ტურაშვილი (მეღორეა), უკოდინარი და უწიგნო, კაცი ფლიდი, უმანერი და სოფლის ყოველისაგე სიკეთისა და წარმატებისა და ნამეტნავად სწავლა-განათლების წინააღმდეგი. ეს აღრეეაც იყო მამასახლისად. სოფ. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘ მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული, არავინ არა ᲰᲯᲐᲒᲘ ᲒᲖᲘᲗ მაჩენებელი და წარმატების მზრუნველი; ეს სოფელი ხომ იყო და არის უპატრონოდ და ამას საწყალი შიბლიანიც ზედ მიეთოვს. «ᲩᲕᲔᲠᲘᲗ ᲛᲔᲙᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲝᲒᲐ, ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲛᲘᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ», რომ იტყვიან, ამ სოფლებზე უნდა ითქვას. სოფელი შიბლიანი 8 ვერსით შორს იქნება სოფ. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘ და ეს უკეთესი იქნებოდა მიწერილიყო სოფ. ყანდაურაზე რადგან ზედვე აკრავს ყანდაურას. უფრო სამართლიანი და სამᲯᲘᲜᲘᲜᲐᲠᲘ იქნებოდა შეერთებულიყო სოფ. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘ სოფლები, კაჭრეთი, ნანინანი, და აგრამ-დარჩეთი; ეს მოსახერხებელიც იქნებოდა და ერთი ფარსაგად განვითარებული მამასახლისი მშვენივრად მოუვლიდა ამ სოფლებს და ყველა საქმეში წინ წასწევდა; უპირველეს ყოვლისა სკოლაა ამ სოფლებში საჭირო, რადგან არც ერთში არ არის. ეხლა კი აურჩევიათ ეს უსაგრებელო ხალხისა და დიდად მოსარგებელ ᲯᲘᲜᲘᲡᲐ, უფიცი და მეღორე კაცი სოფელს მამად (საკვირველი ის არის, რომ სოფ. შიბლიანშიაც თანაშემწედ მეღორე ამოურჩევიათ. ეჰაიი!). ადრეეე ამ რამდენისამე წლის წინად, კარგად არ მახსოვს რომელ წელს იყო, ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ყოველად სამღვდელო ლეონიდი და დეკ. მ. ს. ბეგიაშვილი გიმეზაურნენ სოფ. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘ სკოლის დასაარსებლად. ზოგიერთის სიბნელის მოტრფიალე ვაჟბატონებისა და ნამეტნავად შაშა ტურაშვილის წყალობით ხელ-ცარიელნი დაბრუნდნენ ეს პატივცემულნი. გავიდა რამდენიმე წელიწადი, და ახლა შეეცადა სკოლის დაარსებას ს. ᲯᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘ სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მ. დ. იაშვილი. მასწავლებლის ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲜ 500 მ. წლიურად იაშვილი ჰპირდებოდა სოფელს. მარტო სოფ. უნდა გაეკო შეშა, ნავთი, მოსამსახურე და სახლი. ამოვიდა მ. დ.-ვით იაშვილი და თითქმის სამი დღე ელოდდა ხალხის შესაყრებად მამასახლის ტურაშვილს; რის მუდარითი და ვედრებით მესამე დღეს შეკრება მამასახლისმა სალაყბოზე ხალხი. ესეც მთელის სოფლის საზოგადოება კი არა, თითქმის მარტო ისინი გამორეკა, ვინც კი სწავლისა და სოფლის წარმატების წინააღმდეგნი იყვნენ. ამ კრებაზე მოვიდა და დაესწრო ქოდალოოს ნაწილის ბოქაულიც. მ. დ. იაშვილმა დაუწყო ხალხს დარიგება, რა მაგნებელია უსწავლელობა და რა ბედნიერებაა სწავლა-განათლება და ტაბლის გრძნობით სავსე სიტყვებით საუბარი, მაგრამ ამ ხალხმა სათოფედაც არ მიიკარა დარიგება. თურმე ხალხი ტურაშვილს წაეკეზებინა, არ ინდომოთ სკოლის დაარსება, თორემ დაიღუპებითო; გვატყუებს, ფულს გვპირდება და არიფერს კი არ მოგვცემსო და სხვა. ბეგრის ჩიჩინის შემდეგ თითქმის ხალხის ნახევარი თანხმდებოდა სკოლის დაარსებაზედ. ვთქვითო, ეხლა კი ღმერთმა გვიშველოო. დასდეს ერთი თაბახი ქაღალდი მაგიდაზე სოფლის კანცელარიაში და დაუთახეს: „აი, ხალხნო, ეს ქაღალდი, მობძანდითო აქა და, ვისაც გსურთ სკოლა, ხელი მაწერეთო—გვსურს-თქო“, ვისაც არა და მოაწერეთ არა გვსურსთქო. მიიწვიეს პირველად მამასახლისი შაშა ტურაშვილი. ეს ვაჟბატონი ახლა აქ გაᲯიუტდა და სთქვა „თუნდ კისერი მოგეჭერით, თუნდ შუაზედ გამეჭერით, მაინც არ შემოლიან და არც მოვაწერ ხელსაო. (წერა არ იცის და როგორ მოაწერდა). გამოვარდა გარეთ ხალხში, აავნირა ხელები მაღლა და აქეთ იქით იქნევდა ამ სიტყვებით: „ხალხნო და ᲯᲐᲛᲐᲗᲗᲜ! ე ხალხი (ვითომ მ. იაშვილი და ქოდალოს ბოქაული კვალიაშვილი) ძალად ხელს მაწერინებს სკოლა დაარსეთო და გინდათ სკოლა თუ არაო“; ხელების ქნევით კი ანიშნებდა ხალხს, სთქვეთ: „არაო“, და ხალხმაც ერთხმად ამოიბღავლა: „არ გვინდა, არაო“! ასე ამ გვარად პატიოსან ხალხის შრომა და ღვაწლი უნაყოფოდ დარჩა. აი, ახლაც ის ვაჟ-ბატონნი ამოურჩევია სოფელს (თუ ამოურჩევინებითთ?) მამასახლისად და ისიც ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲐ. ერთმა კაცმა ასე მითხრა: „შენი ჭირიმე, გვიშველე სადმე შავი ფული 100 მანეთისა: 1, 2 და 3 კაპეიკანები, ვვინდა ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲐ მიეცეთ და, აბა, როდემდის დასულლისო“.

*) კომლთა რიცხვი ამოკრიბე შემდეგ წაკითხეთ: „Сводъ статистическихъ данныхъ о населеніи по сем. спис. 1886 г.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲝᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲒᲘᲡ ᲑᲐᲜᲘ.

(დასასრული *)

3) «მიუხედავთ ამისა თითონ ის ფუძე, რითაც ბანკი იძლეოდა შავ-ქვაზე სესხს, იყო იმგვარი, რომ თვით საუკეთესო პირობებშიაც ბანკს უსათუოდ უნდა ეზარალნა, თუმც უფრო ნაკლებად, ვინემ ახლა. 3 ოკტომბერს 1899 წელს პეტრე წულუკიძემ გაყიდა სავაჭრო სახლზე, «საზღვაო და საკომერციო საზოგადოება ანტვერპენში», რამდენიმე მილიონი ფუთი ქვა $23\frac{1}{2}$ კაპიკათ ფუთი, ამ ფულიდან იღებდა იგი ფოთში ქვის გაგზავნის დროს თითოფულ ფუთზედ 80%-ს, ანუ თითქმის 19 კაპ.; დანარჩენი $4\frac{1}{2}$ კაპ. უნდა მიეღო 2 თვის მერე, ე. ი. ქვის ფონისა და ანაღიზის შემდეგ. ამ კონტრაქტს მოუხიბლავს ჩვენი ბანკი და გაუხსნია თ-დ წულუკიძისთვის სესხი 19 კაპ. ანგარიშზედ ფოთში და იმ პირობით, რომ ეს 19 კაპეიკი უნდა დაბრუნებოდა ბანკს ქვის გაგზავნის დროს ფოთიდან, სარგებელი და საკომისიო ფული კი უნდა მიეღო გამგეობას Ჰ. წულუკიძისაგან ქვის ანალიზის შემდეგ. როგორც სჩანს, ბანკის საბჭო გამგეობას არ შეეძლოო, ანუ არ სურდათ, რომ საზღვარ გარეთ ქვის გატანის შემდეგ ბანკს არ რჩებოდა არავითარი გარანტია სარგებლისა და საკომისიო ფულის მისაღებად. ამ გარანტიით შეუძლებელი იყო მიეღოთ თ-დ წულუკიძის მიერ უცხოეთის სავაჭრო ფირმასთან შეკრული კონტრაქტი, რომლის დარღვევა შეიძლებოდა ყოველ წუთში. ასე გასინჯეთ, თვით კონტრაქტის ყველა მუხლთა ასრულებაც კი არ ამტკიცებდა, რომ თ-დი წულუკიძე უსათუოდ მიიღებდა თავის კონტრაგენტიდან ფუთზედ კიდევ $4\frac{1}{2}$ კ., რადგან ამ ფულის გადახდა იყო ანალიზზედ. რომლის შედეგიც მოსალოდნელი იყო გამყიდველის ᲐᲜᲐ სასარგებლოდ. მართლაც დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კონტრაქტი დაარღვია უცხოეთის კონტრაგენტმა; თ-მა წულუკიძემ ვერ მიიღო ვერც ერთი გროში ანალიზის შემდეგ და მასთან ერთად ვერც ბანკმა მიიღო ერთი კაპეიკი სარგებელ-კომისიიდან“.

4) „გამგეობამ განაგრძო სესხის გაცემა ბანკისთვის საზარალო პირობებით კრიზისის დაწყების შემდეგაც კი. კრიზისის ნიშნები ცხადლივ აღიბეჭდენ 1900 წელს აგვისტოს თვიდან: ახალ კონდრაქტებს ალარ სწერდენ, ძველებს ალარ ასრულებდენ. უკლეს მოსცლის ქვის გამზიდავმა გემებმა ასე განინაᲯეთ, საბᲭᲝᲛᲐᲪ კი, რომელიც საზოგადოთ ვერ იცავდა ბანკის ინტერესებს, 16 აგვისტოს 1900 წელს დაადგინა: „ფულის ბაზრის გაუᲯარᲑესობამდე ნუ იქნება გაფართოვებული ბანკის ოპერაციები შავი-ქვის საქმეებშიო“. თუმც ამ დადგენილების რედაქცია ვერაა მაინც და მაინც ნათელი, მაგრამ ყოველ ექვს გარეშეა, რომ საბᲭᲝ შეეუნიშნავს კრიზისის დაწყება. ამ დღიდან გამგეობა ვალდებული იყო შეეწყვიტა, ან შეეცვალა სესხის გაცემის პირობანი. მიუხედავთ ამისა, გამგეობა განაგრძობდა ფულის გაცემას წინარე საფუძვლით, ე. ი. იძლევდა ფუთში 19 კაპ., ᲗᲘᲗᲝᲣᲠᲐᲨᲘ —7—8 კაპ. და სხ. ამ რიგად გაგრძელდა 20 ოქტომბრამდე 1900 წ. მაშინ საბᲭᲝ ხელ-ახლა და დგინა შეეწყვიტაᲗ სრულიად სესხის გაცემა შავ-ქვაზედ. მიუხედავთ ამისა, ვერც ამ დადგენილებამ შეაჩერა გამგეობა; მან მოახლინა ხელ-ახალი სხეული ხარ ᲯᲒᲝ თ-დ წულუკიძეზედ; და ეს ხარᲯᲑი გრძელდებოდა ამა 1904 წლის ივნისამდე, ასე რომ კრიზისის დაწყების შემდეგ 1900 წლის 16 აგვისტოდგან ბანკმა გასცა ახალი სესხი თ-დ წულუკიძეზედ 507,726 მ 25 კ., 1890 წლის 20 ოკტომბრიდან კი 378,589 მან. 5 კ., ამ ფულიდან ბანკი ნაწილს ხარᲯავდა ფრახტზედ, ტყითა-გადატვირთზედ და სხ., ნაწილს კი აძლევდა ხელში თ-დ წულუკიძეს 1902 წლის მარტამდე. კერძოთ კი 2 ნოემბერს 1901 წელს ცხარე კრიზისის დროს გამგეობას მიეცია ᲰᲐᲢᲠᲘᲥ წულუკიძისთვის 2000 მ. საზღვარ-გარეთ წასასვლელათ და კოტრაგენტთან მოსალაპარაკებლათ. როცა დაᲬკითხეთ, ეს სესხი რით იყო უზრუნველყოფილი, ბუხგალტერმა პურადოვმა აგვიხსნა, რომ იყო წარმოდგენილი ერთი ადამიანის მიერ ხელმოწერილი თამასუქი. თავმᲯდომარეს თ-დ თუმანოვს არ ახსოვს არაფერი, დირექტორი თ-დი ლორთკიფანიძე კი ფიქრობს, რომ თამასუქი უეᲭველათ შენახულია სადღაც, მაგრამ შეეძლებელი გახდა მისი მონახვაო».

«ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜ, რომ ბანკის გამგეობა უცახდებდა თ-დ წულუკიძეს უსაზღვრო რᲩᲛᲔᲚᲐ: გამგეობა აძლევდა მას მაᲯᲐᲚᲔᲑᲘᲗ იმდენ სესხს, რომ სრულებით ეყოფოდა იგი ქვის საყიდლათ, ისე რომ თითონ ერთ გროშსაც არ მოუმატებდა; გამგეობას გადაქონდა მისი ქვა მაᲯᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲣᲠᲐᲨᲘ; გამგეობა ეწეოდა ყოველივე ხარᲯს, რაც საჭირო იყო ᲗᲘᲗᲝᲣᲠᲘᲗᲐᲜ ფოთამდე ფრახტისთვის, ტვირთთა გადატვირთისთვის, იხდიდა ეგრეთვე რკინის გზის და შავი ქვის მარᲯᲕᲔᲚᲘᲡᲐ საბᲭᲝ საᲗᲐᲠᲒᲚᲝᲡᲗᲐ ᲓᲐᲒᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და სხ.; გამგეობა იხდიდა თ-დ წულუკიძის მაგიერ ᲮᲯᲐᲠᲘᲡ ფულს საწყობ ადგილებზედ, ისე გასინᲯᲐ, ყიდულობდა მისთვის საწარმოოო მოწმობასაც კი. ეგრეთვე 1902 წლიდან დაწყებული დღემდე გამგეობა ყიდულობდა შავ-ქვას თ-დ წულუკიძის ქვის გასაუმᲯობესთ, გამგეობა ანდობდა თ-დ წულუკიძეს ქვის გაგზავნას უცხოეთში და კონნსამენტების მიღებას; ყოველ მაგალითები, როცა თ-დ წულუკიძეს ანდობდნენ ფულის მიღებასაც (სხვა ბანკებიდან); და ბოლოს, საბᲭᲝ დადგენილების წინაᲐᲛᲓᲔᲒᲐ, რათა გახსნოდა თ-დ წულუკიძეს მხოლოთ 150,000 მანეთის კრედიტი, გამგეობამ არა ერთხელ დაარღვია ეს ნორმა».

